

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2013 წლის სექტემბერი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში
შეტანის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრისა და სააუქციონო
პირობების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ფ“ და „ქ“ ქვეპუნქტების შესაბამისად

მუხლი 1. შეტანილ იქნეს საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შემდეგი ქონება: ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქ. N78-ში მდებარე 1049,02 კვ.მ. შენობა-ნაგებობა მასზე მიმაგრებული 1000 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთით (საკადასტრო კოდი 270652094)

მუხლი 2. საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 52130 (ორმოცდათორმეტი ათასასოცდაათი) ლარის ოდენობით.

მუხლი 3. დამტკიცდეს სააუქციონო პირობები დანართის შესაბამისად.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე, ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 5. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ამირან გიგინეიშვილი

გამყიდველი - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

დასახელება - ქ. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. N78-ში მდებარე 1049,02 კვ.მ. შენობა-ნაგებობა მასზე მიმაგრებული 1000 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი - 270652094).

პრივატიზაციის ფორმა - პირობიანი აუქციონი

პირობა– სამკერვალო ფაბრიკის მოწყობა, სადაც (საწყის ეტაპზე) დასაქმებული იქნება მინიმუმ 50 ადამიანი. ასევე, განთავსდეს საოჯახო ტიპის საკერავი-საქარგავი მანქანების, ფურნიტურისა და აქსესუარების მაღაზია.

საწყისი გასაყიდი ფასი– 52130 ლარი

„ბე“– რომლის ოდენობაც შეადგენს ქონების საწყისი საფასურის 30%-ს-15639 ლარი;

აუქციონის ბიჯი - ----- ლარი

მონაწილის ბილეთის ფასი - 100 ლარი

თანხის გადახდის პირობები - უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია ან „ბე“- 15639

ლარი, მონაწილის ბილეთი - 100 ლარი, რომელიც გადახდილი უნდა იქნეს საჯარო

აუქციონზე განაცხადის წარდგენამდე

საპრივატიზებო თანხის სრულად გადახდა საჯარო აუქციონის ჩატარებიდან 1 წლის

განმავლობაში ყოველკვარტალურად;

აუქციონის დამატებითი პირობები:

1. აუქციონში გამოტანილი ობიექტის შემძენი ვალდებულია შეძენილ ქონებაზე ნებისმიერი სახის ობიექტისა და ინფრასტრუქტურის მშენებლობა ყველა ეტაპზე განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამშენებლო ნორმების და წესების მოთხოვნების დაცვით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტთან შეთანხმებით.

2. აუქციონში გამარჯვებულზე საკუთრების მოწმობა გაიცემა საპრივატიზებო თანხის სრულად დაფარვიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით.

3. აუქციონში გამარჯვებულმა საპრივატიზებო თანხა სრულად უნდა დაფაროს აუქციონში გამარჯვებულის ოქმის ხელმოწერის დღიდან 1 წლის ვადაში. (გადახდის გრაფიკი ხომ არ არის საჭირო)

4. თუ მყიდველი პირობების მე-3 პუნქტით დადგენილ ვადებში არ გადაიხდის ქონების ნასყიდობის თანხას, მას არ გადაეცემა საკუთრების უფლება ქონებაზე და შეტანილი „ბე“ არ დაუბრუნდება, ხოლო წარდგენილი უპირობო და გამოუხმობი **საბანკო გარანტია** ექვემდებარება შესრულებას.

5. მყიდველი ვალდებულია, შეძენილი ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვას აუქციონში გამარჯვებულის ოქმით და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები (აუქციონის პირობები), მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები და მათ შესრულებაზე გამყიდველის მოთხოვნისთანავე წარუდგინოს ინფორმაცია გამყიდველს.

6. გამყიდველის მიერ მყიდველზე საკუთრების მოწმობის გადაცემის შემდეგ, ოქმით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მოქმედების პერიოდში, მყიდველის მიერ პრივატიზებული ქონების გასხვისების შემთხვევაში, მყიდველი ვალდებულია ქონება ახალ მესაკუთრეზე გასხვისოს იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებული იყო გამარჯვების დამადასტურებელი ოქმით და ხელშეკრულებით. ქონების გასხვისების შესახებ წინასწარ წერილობით უნდა ეცნობოს გამყიდველს.

7. ოქმით და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება გამყიდველის მიერ მათი დამადასტურების მომენტიდან.